

პავლეს პასაჟის ნეოპლატონური განმარტება იოანე პეტრიწთან: თეორია მატერიის შესახებ

ლევან გიგინეიშვილი

იოანე პეტრიწი საქართველოში ჩამოვიდა დიდი პროექტით: განეხორციელებინა ნეოპლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის სინთეზი; ეჩვენებინა, რომ ქრისტიანული, ბიბლიური ტრადიცია და ნეოპლატონური ტრადიცია ერთსა და იმავე ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს, მხოლოდ სხვადასხვა გზით, რომ ბიბლიაც გადმოსცემს „არსთა თანაწარმოდგომილ ჭეშმარიტებას“ „ფარდების“ ანუ მეტაფორების გზით. ფილოსოფოსის მიზანი კი არის გადახსნას ეს ფარდები, რაც სხვა არაფერია, თუარადა მეტაფიზიკური განმარტება მისცეს, მეტაფიზიკური აზრით შეავსოს ბიბლიური გამონათქვამი. სხვანაირად, ეს გამონათქვამი დაკარგავს თავის ფუნქციას – რა საჭიროა ბიბლიური გამონათქვამი, თუ არ გაკაფა გზა ფილოსოფიური ხედვისაკენ?

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ამ სტატიაში განხილული იქნება ერთი კონკრეტული ადგილი პეტრიწის „განმარტებებიდან“ სადაც გელათელი ფილოსოფოსი თავის ჩვეულ ხერხს თუ მანერას მიმართავს: მსჯელობს ფილოსოფიურ ხედვაზე და შემდეგ მოჰყავს პასაჟი ბიბლიიდან, რომელიც მისი აზრით, სწორედ ამ ხედვას შეესაბამება. კიდევ ერთხელ, აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ მსგავსებაზე და, ასე ვთქვათ, ბუნდოვან პარალელიზმზე, არამედ **იდენტიფიკაციაზე**: ბიბლიური პასაჟი ზუსტად იმავეს ამბობს, რასაც პლატონური მეტაფიზიკა, მხოლოდ მრავალი საუკუნის მანძილზე ელოდებოდა ფილოსოფოსს, რათა ეს აზრი ამოეცნო; როგორც ნაცრისფერი კენჭი ელოდება ზღვის შხეფებს და მზის სხივებს, რათა თავისი ფარული ფერები და ბრწყინვალეობა გამოაჩინოს.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ერთ-ერთ ასეთ მეტაფიზიკურ თეორიას და პეტრიწის მიერ მისთვის შერჩეულ ბიბლიურ ანალოგს.

საქმე ეხება თეორიას მატერიაზე. მოგვყავს ციტატა პროკლეს 139-ე თავის პეტრიწისეული განმარტებიდან:

ესე ხედვანი დაახედაჲსხედავნა ვითარ ზესთ სათანადონი. იტყჳს, ვითარმედ ყოველთა განღმრთობილთა ემწუერვალეუბის ნამდჳლმყოფისა მორთულეჲაჲ. რამეთუ პირველთა საზღვართა მიერ მოირთო, ესე იგი არს პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობაჲ. რამეთუ ყოველნი ღმრთებრივნი ერთნი და მხოლონი რომელნიმე საზღვრის გუარ არიან, რომელნიმე უსაზღვროის გუარ. ხოლო პირველი არსება მან ზესთამან ერთთამან წარმოამკო, ვითარ ხატი თჳსი და ღმერთი არსთა და მყოფთაჲ; ხოლო თჳთ იგი უთჳთოი თვითი ერთი მყოფობა-

საცა და არა მყოფობასაცა სწორებით ზესთ დაუშთების, რამეთუ არ მყოფობისა დამართებითი მყოფი არს პირველი, ეს იგი არს ნამდვლ მყოფი, ხოლო ზესთაჲ ერთთაჲ ერთი არას იქონებს წინამწყოდ თჳს-და. რამეთუ ვერცა არ მყოფი ვითარ არ მყოფი განველთას საკრველ-თა ერთობისათა, რამეთუ ვითარ არა მყოფი ერთვე არს, ვინაივე არა მყოფსაცა დაჰმეუფნა ზესთ ძალმან ერთთა ერთისამან და ესე იგი არს ჩემისა პავლესი, „რომელმან უწოდა არ მყოფსა ვითარ მყოფსა“ [იოანე პეტრიწი 1937:170-171].¹

რა ითქმება აქ? პეტრიწი ლაპარაკობს, რომ არის ორი პოლარული „წერტილი“: ა) არ მყოფი და ბ) მისი „დამართებითი“, ანუ მისი დადებითი ანალოგი „პირველი მყოფი“. პირველი მყოფი კი არის „ნამდვილმყოფი“, რომელსაც პეტრიწი სხვა ადგილებში პირველი გონებასაც უწოდებს და მარადიულ, სრულყოფილ იდეების სამყაროს წარმოადგენს. ეს სამყარო შე-ქმნილია ღმერთის მიერ და იგი აწესრიგებს მატერიის არმყოფობას.² ანუ გამოდის, რომ მატერიის არმყოფობა არ აღნიშნავს აბსოლუტურ არარაობას და არაფრობას, არამედ რაღაც გაუფორმებელ რაობას, რომელიც თავის გაფორმებას იღებს ნამდვილმყოფისაგან. მაშასადამე, „არ მყოფობა“ უნდა გავიაზროთ, როგორც „გაუფორმებლობა“, ანუ არსებული უფორმო მატერია. ეს მატერია „მოელის“/„მოითხოვს“ ფორმოზრივ განსაზღვრას ზემოდან, ნამდვილმყოფისაგან, რომლის შესაბამისი პოლარული პრინციპი თვითონაა. ანუ, კვლავ პლატონის „ტიმეოსის“ თემა — მოუწესრიგებელი მასალის მოწესრიგება — ოღონდაც დემიურგის როლს აქ თავად ნამდვილმყოფი ასრულებს, რადგან თავადაა, არისტოტელეს ტერმინები რომ გამოვიყენოთ, ერთდრულად ფორმალური და მოქმედი მიხეზიც.

რაც შეეხება თვით ყოფიერების საწყისს, შეუქმნელ, აბსოლუტურ, ტრანსცენდენტურ ერთს, მას არ ჰყავს არანაირი პოლარული საპირისპირო პრინციპი აბსოლუტური არმყოფობის, არაფრობის სახით. ერთი, ამდენად, უფლებს ყველაფერზე, ხილული და უხილავი სამყაროების მთელ სისავსეზე და არაფერი რჩება მისი „კონტროლის“ („საკრველების“) გარეთ.

პეტრიწის ეს ხედვა მომდინარეობს პროკლესგან, ან უშუალოდ, ან დიონისე არეოპაგელის მედიაციით, ხოლო ემიჯნება პლოტინოსის თეორიას, მიუხედავად იმისა, რომ პეტრიწი, იყენებს პლოტინოსის ტერმინოლოგიას (მატერია პლოტინოსთან არის „არმყოფი“ - τὸ ἀμφοῦν³) და მატერიას უწოდებს „არმყოფს“. პლოტინოსის აზრით, მატერია (რომელიც ასევე ბოროტების

1 სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრიწის ამ პასაჟს საგანგებოდ შეეხო ლელა ალექსიძე თავის უახლეს ნაშრომში [ალექსიძე 2008: 247-248].

2 პეტრიწი ცვლის თავის თარგმანში პროკლეს „ღვთიურს“ „ღმერთით“ და ნაცვლად თარგმნისა „ყოველთა შორის, რომელნიც ეზიარებიან ღვთიურ თვისებას და განიღმრთობიან“ თარგმნის „ყოველთა მზიარებელთა ღმრთისა თვითებისასა და განღმრთობილთა“; ეს არ არის გასაკვირი, რადგან პროკლე „ღვთიურში“ გულისხმობს ჰენადის და არა ტრანსცენდენტური ერთის თვისებას, ჰენადები კი მის პოლითეისტურ სამყაროში თავისთავადი ღმერთები არიან. პეტრიწი არ იღებს პროკლეს პოლითეიზმს, და ამიტომაც ცვლის „ღვთიურს“ ღმერთით, ღმერთში კი ტრანსცენდენტურ ერთს გულისხმობს.

3 შდრ. *Enneades*, II, 4, 16.

მეტაფიზიკური საწყისია) არის ტრანსცენდენტური ერთის პოლარული უარყოფითი საწყისი, შეიძლება ითქვას, ისევე „მძლავრი“ როგორც თავად ერთი. პლოტინოსთან მატერია არის „არ მყოფი“ იმ გაგებით, რომ იგი არის ერთისგან გამომავალი „გამოსხივების“ („ემანაციის“) ბოლო ზღვარი. ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ ის არის ერთის სრული ოპოზიცია, სრული მოკლება თუ დასუსტება; ამ გაგებით, ის არის ტრანსცენდენტურ ერთთან პოლარულად დაპირისპირებული ბოროტი და არმყოფი, რომელიც არათუ არ უშვებს ერთის სხივებს თავისთან, არამედ შეიძლება აქტიურადაც შეიჭრას ყოფიერების სივრცეში და ბოროტების მიზეზი გახდეს. სწორედ ამგვარ დუალისტურ ხედვას უპირისპირდება პროკლე, რომელიც ხახვასმით ამბობს, რომ თავად მატერიის საწყისიც არის ერთი, რომ მატერია უშუალოდ მომდინარეობს ერთისაგან და, აქედან გამომდინარე, უნდა მონაწილეობდეს მთელი სამყაროს თავისი ტრანსცენდენტური მიზეზისადმი კოსმიურ ტრეფილებაში და დაბრუნების („უკაშქცვის“) პროცესში. დომენიკ ო'მეარას აზრით, ანტიკურ ფილოსოფიაში მატერიის რაობის გააზრება ორ სხვადასხვა სქემაში ხდებოდა: პირველი სქემა არის ე.წ. „მომწესრიგებლობითი“, რაც ნიშნავს, რომ იდეების სამყაროდან ხდება წინამოარსე, დაუს ბამო, მარადიული და ქაოსურად მოძრავი მატერიის მოწესრიგება [ო'მეარა 1998:10-11]⁴. ამ მოდელში არც კი ისმება საკითხი მატერიის წარმოშობის შესახებ. იგულისხმება, რომ ქაოსური მატერია ისევე დაუსაბამოა და მარადიულია, როგორც თავად იდეების სამყარო და მათ შორის არანაირი, არც დროითი და არც ლოგიკური სეკვენცია არ არის. რაც შეეხება მეორე მოდელს თუ სქემას, მას ო'მეარა უწოდებს „დერივატიულს“, ანუ „გამომდინარეობის“; ამ სქემის მიხედვით მთავარი საკითხია, თუ საიდან წარმოიშვება, საიდან მომდინარეობს თავად მატერია, რა არის მატერიის არსებობის პირობა. ასეთ ხედვაში უპირობო, აბსოლუტური და არადერივატიული მყოფობა ენიჭება მხოლოდ ტრანსცენდენტურ ერთს, ხოლო მატერია იკავებს ერთ-ერთ, თუნდაც ყველაზე ბოლო, ადგილს ერთისაგან გამომავალი რეალიების რიგში, მაგრამ ონტოლოგიური გაგებით არ გამოეყოფა ამ რიგს. ორივე, პროკლეცა და პლოტინოსიც დერივატიულ მოდელს მიჰყვებიან; მართალია, პლოტინოსი ზოგჯერ „მომწესრიგებლობით“ სქემაშიც განიხილავს მატერიას, მაგრამ ძირითადად ამ სქემას უმორჩილებს დერივატიულ სქემას, ანუ იმას, რომ მატერიაც ერთისგან გამოდის, და წარმოადგენს ემანაციის უკანასკნელ ზღვარს. მნიშვნელოვანი განსხვავება პროკლესა და პლოტინოსს შორის არის ის, რომ პროკლესთან მატერია გამომდინარეობს არა მისი უშუალო წინამორბედიდან დერივაციის ჯაჭვში, არამედ პირდაპირ, უშუალოდ ერთისაგან. ამდენად, თავად მატერიის „მოკლებების“ (ანუ, იდეური გაფორმებისაგან მოკლებების, სტერესის-ების - στερεΐσεις) უშუალო წყარო არის ერთი. „ღვთისმეტყველების საფუძვლების“

4 დ. ო'მეარა მიიჩნევს, რომ „ტიმეოსში“ აღწერილი მატერიის მოძრაობა შეიძლება ორგვარად იქნას გააზრებული: ა) რომ მატერიას ქაოსური მოძრაობის თავისი, იდეების სამყაროსგან დამოუკიდებელი საწყისი აქვს; ამ ქაოსური მოძრაობის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ის „ბოროტი სული“, რომელზეც პლატონისტი ქსენოკრატე საუბრობდა; და ბ) რომ ეს მოძრაობა მომდინარეობს ზედა მიზეზებიდან და გამოხატავს მატერიის სწრაფვას, რომ გაფორმდეს და მოწესრიგდეს. პირველი განმარტება პლოტინოსის მოდელში ჯდება, მეორე კი – პროკლესაში.

72-ე თავში პროკლე პირდაპირ ამბობს ამას.⁵ ეს გაცვილებით უფრო ოპტიმის-ტური ხედვაა მატერიაზე, ვიდრე პლოტინოსთან.

ისევე, როგორც შემდგომში იოანე პეტრიწი, დიონისე არეობაგელი იღებს პლოტინოსის ტერმინოლოგიას, მაგრამ პროკლესეზურად იაზრებს მას. ფსევდო-დიონისეს აზრით, მატერიაც მონაწილეობს სამყაროსეულ წადილში (ტრაფობაში) ტრანსცენდენტური მიზეზისადმი.⁶ ამ ხედვას მიჰყვება პეტრიწიც, როდესაც ამბობს, რომ „ნივთი უგუაროა, დაკლებული ყოველთა სახლუართა და გუართაგან, უსახო და უმდგო ყოვლითურთ — ვითარ პლატონ იტყვის ვითარმედ ოდენ ნამრლუეგსა და ნაცთსა გულმეისიერებასა შორის მონაგონი⁷ — ხოლო ერთობითა უბაძავს და უმსგავსებს ზესთ განკარგულსა ერთსა, და ვინაჲთგან ჰგავს, რაჲთვე წადნოის ტრაფიალებად მისდმი და გაკეთილებად ზესთ კეთილობათა მისთაგან“ (განმარტებაჲ, გვ. 83)⁸. მატერია შეუძლებელია იყოს ბოროტი, ისიც არსია⁹ და, როგორც ყველა არსი მანამდე, სანამ რეალურად გაარსდება, ზე-არსად იმყოფება თავის მიზეზში — ღმერთში (მთელი სამყარო მის გაჩენამდეც ზე-არსად უკვე არის ღმერთში).¹⁰ აქაც პეტრიწი პროკლეს და დიონისე არეობაგელს მიჰყვება; დიონისე გარკვევით ამბობს, რომ მატერიაც („არ მყოფი“) არ არის აბსოლუტურად არმყოფი, რადგან ზე-არსად (ὑπερουσιως), ესე იგი, შექმნის წინარე „ჩანაფიქრის“ თუ „მონახაზის“ სახით, არსებობს ღმერთში და, ბოროტების-

5 hlmen gar ul h, upokeimenon ousa pantwn, ek tou pantwn ai tiou prohlqe. *Elementatio Theologica*, prop. 72.

6 efi etai aujou kai; to mh; oi – DN, 716A, 1. როგორც დიონისეს პირველი სკოლიასტი, იოანე სკითხოპოლელი ამბობს, „მატერიას ეწოდება „არ-მყოფი“ არა იმიტომ, რომ ის აბსოლუტურად არარაობაა, არამედ იმიტომ, რომ ის არ არსებობს. ვინაიდან ღმერთი არის ჭეშმარიტად არსი და თავისთავადი სიკეთე; და თვით მატერიაც შეიქმნა ღვთისაგან [აბსოლუტური] არმყოფისაგან“. თარგმანი ინგლისურიდან შევასრულე შემდეგი გამოცემიდან: „Selected Translation of John of Scythopolis Scholia“, in: Paul Rorem and John C. Lamoreaux. *John of Scythopolis and the Dyanysian Corpus. Annotating the Areopagite*. Oxford University Press, 1998, p. 208.

7 პლატონის აზრით, ვინაიდან მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ იმაზე, რასაც აქვს ფორმა და განსაზღვრება, ამდენად უფორმო მატერიაზე მხოლოდ „უკანონოდ შობილი“ აზროვნებაა შესაძლებელი, რადგან განსაზღვრულს ვერაფერს ვიტყვით მასზე. შდრ. *Timaeus* 52b 1-5.

8 უპირისპირდება რა პლოტინოსის იდეას, რომ მატერია არის აბსოლუტური ბოროტება, პროკლე ასე მსჯელობს: მატერია არის გაუფორმებელი და უზომო და საჭიროებს გაფორმებას და ზომას, მაშასადამე ის ვერ იქნება ბოროტი, რადგანაც მას აქვს წადილი ფორმისა და სრულყოფისა (შდრ. *De Malorum Subsistentia* 32, 9-20; პროკლეს ნაშრომის ეს დამოწმება ავიღე შემდეგი ნაშრომიდან: Carlos Steel, *Proclus on the Existence of Evi*. Proceedings of the Boston Area Colloquium in Ancient Philosophy. Vol. XIV, 1998, Brill: Leiden, pp. 96-97).

9 აქ უნდა ვახსენოთ პეტრიწის მსჯელობა „იდეის მოკლებაზე“, („მოკლება – sterhsi-) ანუ ისეთ არსებობაზე, სადაც იდეის შუქი (რომელიც მომდინარეობს ნამდვილმყოფი-გონებიდან) აღარ აღწევს. პეტრიწის აზრით, არისტოტელური sterhsi–ის („მოკლების“) მაგალითი არის პირველადი მატერია, რომელიც სრულიად გაუფორმებელია, ანუ გონება მას ვერ სწვდება; სამაგიეროდ აქვს არსებობა ტრანსცენდენტური ერთისაგან (განმარტებაჲ, თ. 57).

10 პეტრიწის აზრით, და აქ ის მიჰყვება პროკლეს, მეტაფიზიკურ სამყაროში შედეგი მანამდე სანამ (NB: ეს „მანამდე“ ლოგიკურ სეკვენციას და იერარქიას მიანიშნებს და არა დროს) მიიღებს თავის ინდივიდუალურ, „დამოუკიდებელ“ მყოფობას, იმყოფება მიზეზში უფრო აღმატებული სახით. სამყაროს მიზეზში, ტრანსცენდენტურ ერთში ყველაფერი არის ზესთ არსად“ და უმჯობესად: „რამეთუ ოდეს მას მიუწოდომელსა ზესთ არსსა შორის გესმეს პირველი არსება, უმჯობესად ჰრაცხე ბუნებასა არსებისასა, და ვითარ ზესთ არსად და ერთებრივად“ (განმარტებაჲ, გვ. 130). ამ ციტატაში პეტრიწი მსჯელობს შექმნილ გონებაზე, ნამდვილმყოფზე, მაგრამ იგივე შეიძლება განვავრცოთ ნებისმიერ არსზე.

გან განსხვავებით, ქმნილების გეგმის ნაწილია.¹¹ პეტრიწიც იმეორებს, რომ „ერთში ყოველივე ზესთ არსად იმყოფება“.

ცხადია, პროკლეს თეორია მატერიის შესახებ უფრო ახლოსაა ქრისტიანულ მოდელთან, სადაც მატერიაც ღვთის ქმნილებაა და არა რამე მისგან დამოუკიდებელი საწყისი. ღმერთი სრულიად არაფრისგან ქმნის სამყაროს, „სრული არაფერი“ კი ღმერთის პოლარული პრინციპი არაა, ის არაფერია და, ამდენად, არ თანხვდება პლოტინოსის „არმყოფს“, ანუ მატერიას, რომელიც ტრანსცენდენტული ერთის ემანაციის სრული დაშრეტაა და, გარკვეული აზრით, ბოროტების მეტაფიზიკურ მიზეზსაც წარმოადგენს.

თუ პროკლესთან მატერია არ არის ბოროტების მეტაფიზიკური წყარო, მაშინ რა არის? პროკლეს აზრით, ბოროტება არ არსებობს თავისთავად, არამედ ბოროტების მიზეზი არის შეუსაბამო სტატუსი: ის ჩნდება მაშინ, თუ არსი არ იკავებს თავისთვის განკუთვნილ სტატუსს, არამედ ითავისებს საკუთარი სტატუსისთვის შეუფერებელ თვისებას, ასე ვთქვათ, გადაადგილდება თავისი სტატუსიდან. ტერმინოლოგიურად ამას პროკლე უწოდებს „პარიპოსტასის“-ს (paripostasi-), ანუ გადახვევას ონტოლოგიური ფუნქციიდან. ამის მიზეზი კი არ არის მატერია.¹² პეტრიწის პოზიციაც ბოროტების მიმართ პროკლეს მსგავსია. ის არ აყალიბებს „პარიპოსტასის“ ბადალ ქართულ ტერმინს, მაგრამ მისი აზრები ზუსტად გამოხატავენ ამ ტერმინის იდეას: პეტრიწის აზრით, სამყარო ტელეოლოგიურად არის მოწყობილი და ყველა არსს თავისი დანიშნულება, ფუნქცია, ან თავისი სპეციფიკური სრულყოფა აქვს; სრულყოფის კრიტერიუმში ამა თუ იმ არსისთვის კი არის ის, თუ თავისი რა ასპექტით, რა მოქმედებით ემსგავსება იგი უმაღლეს, მარადიულ ყოფიერებას: მაგალითად, ერთადერთი, რითაც შეუძლია მოკვდავ ცხოველს მარადიულ მყოფს დაემსგავსოს, არის თავისი მსგავსის წარმოშობა, რომ საკუთარი თავი შთამომავლობაში მანინც გააგრძელოს, მაშინ, როდესაც თავად ინდივიდუალურად მოკვდება და გაიხრწნება; ანუ ცხოველს შეუძლია მხოლოდ ვიკარიალურ („წარმომადგენლობით“/„ჩანაცვლებით“) უკვდავებას მიღწიოს: საკუთარი პირმშო არის ერთადერთი „კაუჭი“, რითაც შეუძლია „გამოედოს“ მარადისობას.¹³ ამდენად, სქესობრივი კავშირი, მასთან დაკავშირებული

11 oujen gar eŕtai to kaqou ou mh; oh, eijmh; ej tagaqw/kata; to; uferousion legoito. DN, 716D, 1-2.
 12 ამ საკითხზე იხ. Lloyd A. C. "Parhypostasis in Proclus", in: *Proclus et son Influence. Actes du Colloque de Neuchatel [juin 1985]*, ed. par G. Boss et G. Seel, avec une introduction de F. Brunner. Zurich: Grand Midi, 1987, pp. 145-157. ვინაიდან პროკლეს სისტემაში ძნელია მოძებნო ადგილი თავისუფალი ნებისთვის ზემატერიალურ სამყაროში, მაშინ ასევე ძნელი ასახსნელი ხდება, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ეს გადახვევა. კერძოდ, ეს საკითხი მნიშვნელოვანია სულის მიწიერ სამყაროში შემოსვლის ფაქტის ასახსნელად: არის თუ არა ეს ავტომატური ონტოლოგიური პროცესი, თუ სულის შემოსვლა მატერიალურ სამყაროში სულის ცოდვია (როგორც ეს არის პლოტინოსთან). თუ ცოდვია, მაშინ პროკლეს სისტემაში აუხსნელი რჩება, საიდან შეიჭრა პარიპოსტასი "ანუ სტატუსიდან გადახვევა იქ, ზემატერიალურ სამყაროში.
 13 ამ იდეების წყარო არის პლატონის „ნადიმი“ (*Symposium* 201d-212c), სადაც სოკრატე მსჯელობს მარადისობაში სხვადასხვა არსის სხვადასხვაგვარ მონაწილეობაზე (მაგალითად, სოკრატეს თქმით, უფრო სუსტი ცხოველებიც იმიტომ იცავენ გაშმაგებით და თავდადებით საკუთარ შვილებს გაცილებით ძლიერი ცხოველებისგან, რომ შვილები ერთადერთია, ვისითაც შეუძლიათ იმონაწილეონ მარადისობაში).

ყველა განცდებით, რაც აუცილებელია ცხოველისთვის მარადისობაში მისი მონაწილეობის საიდუმლოს შესრულებისთვის, არის ცხოველის სპეციფიკური სრულყოფილების განუყოფელი ნაწილი; ამაზე მნიშვნელოვანი ცხოველს არ შეუძლია არაფერი გააკეთოს, და ყველა მისი სხვა აქტივობა ერთგვარი ტელეოლოგიური დაძაბულობის ველშია და იმართება ამ ფუნქციით: დაბადოს შთამომავლობა. რაც შეეხება ადამიანს, რომლის ლოგიკური, მოაზროვნე სული ღმერთმა გამოჰყო პირუტყვეული სულისაგან სწორედ აზროვნების თვისებით, იგი არის პრივილეგირებული არსება, რომელსაც არა ვიკარიალურად, არამედ უშუალოდ, თავად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მარადისობაში თავისი სულის შინაგანი ლოგოსის მეშვეობით; ლოგოსისმიერი აზროვნება პეტრიწისათვის არის ანაგოგიური, ზედმეცვანებლობითი პროცესი ფიზიკურიდან მეტაფიზიკურამდე; ამ პროცესის საბოლოო დაგვირგვინებაა ღმერთის ბუნების ჰერეტიკა. ამდენად, უშვილო ადამიანსაც შეუძლია იმონაწილეოს მარადისობაში, თან არა ვიკარიალურად, არამედ პირადად და უშუალოდ. მაგრამ, თუ ადამიანი დაივიწყებს თავის სპეციფიკურ სრულყოფას და მიეჯახება სექსუალურ სიამოვნებებს, მაშინ ეს მისთვის ბოროტებად იქცევა, რადგან ამით ადამიანი გადაუხვევს საკუთარ ონტოლოგიურ დანიშნულებას, ანუ, პროკლეს ტერმინით, იქნება „პარიპოსტასში“. მაგრამ, დასძენს პეტრიწი მანიქველური დუალიზმის საპირისპიროდ, სექსუალური სიამოვნებები („გემონი“) არ წარმოადგენენ თავისთავად ბოროტებას, არამედ ცხოველების სრულყოფის განუყოფელ ნაწილს; იგი მხოლოდ იმდენად ხდება ბოროტება, რამდენადაც ადამიანი მასზე მაღლა არ დააყენებს თავის სპეციფიკურ სრულყოფას — თეორიულ აზროვნებას და მეტაფიზიკურ მოგზაურობას გრძნობადი არსიდან გონითსაწვდომ არსამდე.

დავუბრუნდეთ თეორიას მატერიაზე და ამ თეორიის პეტრიწისეულ ინტერპრეტაციას. მას შემდეგ, რაც გადმოსცემს პროკლე-ფსევდო-დიონისიურ თეორიას მატერიაზე, პეტრიწი გადადის ბიბლიურ ტექსტზე და ამბობს: ამას ნიშნავს ჩემი პავლეს სიტყვებიცო: „რომელმან უწოდა არმყოფსა ვითარცა მყოფსა“. ე.ი. პეტრიწი პავლეს „არმყოფს“ აიგივებს პლოტინისეულ $\tau\acute{\alpha}\ \mu\eta\iota\ \delta\acute{\iota}\kappa\alpha$ - მატერიასთან და შემდეგ იაზრებს ამ ცნებას პროკლე-ფსევდო-დიონისეს ტრადიციის მიხედვით. როგორც ვთქვით, პეტრიწი, შესაძლოა, არა პირდაპირ პროკლეს, არამედ ფსევდო დიონისეს მიჰყვება; პეტრიწიც პლოტინოსის ტერმინ $\tau\acute{\alpha}\ \mu\eta\iota\ \delta\acute{\iota}\kappa\alpha$ -ს იაზრებს როგორც მატერიას, მაგრამ ისევე, როგორც ფსევდო-დიონისე, მატერიას განმარტავს პროკლეს თვალთახედვით. ორიგინალური პეტრიწთან, შესაძლოა, იყოს ის, რომ იგი პავლეს $\tau\acute{\alpha}\ \mu\eta\iota\ \delta\acute{\iota}\kappa\alpha$ -ს პლოტინის $\tau\acute{\alpha}\ \mu\eta\iota\ \delta\acute{\iota}\kappa\alpha$ -ის სემანტიკურ ველში აქცევს და იაზრებს როგორც მატერიას, თუმცა კი პავლეს ამ გამოთქმის უშუალო კონტექსტი სხვა განმარტებების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე პეტრიწის ძალიან სპეციფიკური, მეტაფიზიკური განმარტებისა. კერძოდ, ამ პასაჟში პავლე ლაპარაკობს მკვდრეთით აღდგომაზე და ამბობს, რომ

აბრაამი მზად იყო, შეეწირა ისააკი, ვინაიდან მას სწამდა, რომ ღმერთს ძალუძს ადამიანთა მკვდრეთით აღდგინება. ამ კონტექსტში პავლეს სიტყვები: „უწოდა არმყოფსა ვითარცა მყოფსა“ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ „არმყოფი“ არის გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც ღმერთისთვის ცოცხალი და მყოფია (შდრ. მრ. 12. 27) და რომლის მკვდრეთით აღდგინებაც მის ხელმწიფებაშია¹⁴. პავლესეული სხვა გაგებით, „არმყოფი“, შესაძლოა აღნიშნავდეს წარმართ ხალხს, რომლებიც გაქრისტიანებამდე „არ იყვნენ“ და ახლა კი „იქმნენ“ როგორც ხალხი¹⁵. პატრისტიკულ ლიტერატურაში არის აგრეთვე ამ პასაჟის სხვა განმარტებაც, კერძოდ, რომ პავლე აქ საუბრობს შესაქმნე, რომ ღმერთი ქმნის სამყაროს არაფრობისაგან (*creatio ex nihilo*)¹⁶. ლელა ალექსიძეს დასახელებულ ნაშრომში მოყვანილი ჰყავს პავლეს პასაჟის ორიგენესეული განმარტება, სადაც ალექსანდრიელი თეოლოგი სწორედ ბოლო ორი გაგებით იაზრებს მას [ალექსიძე, 2008:248].¹⁷ ჩემს მიერ მიგნებული არც ერთი წყარო არ იძლევა ამ პასაჟის პეტრიწისეულ განმარტებას და არ აიგივებს პავლეს „არმყოფს“ მატერიასთან. შესაძლოა, პეტრიწი პირველი და ორიგინალურია იმაში, რომ იგი პავლე მოციქულის ამ პასაჟს პროკლესა და ფსევდო-დიონისეს ფილოსოფიის თვალსაზრისით იაზრებს და ტოლოპის ნიშანი გაჰყავს პავლესა და პლოტინოსის ტერმინოლოგიებს შორის.

ისევ და ისევ, ჩნდება საკითხი, რამდენად იაზრებს პეტრიწი იმას, რომ მისი განმარტება საკმაოდ სუბიექტური და არაისტორიულია (თუნდაც იმიტომ, რომ პლოტინოსი III საუკუნის მოაზროვნეა და მისი ტერმინოლოგია ისტორიულად სრულიად განსხვავებული სემანტიკისა უნდა იყოს, ვიდრე პავლეს ტერმინოლოგია); ან იქნებ პეტრიწისთვის მთავარია მეტაფიზიკურ ხედვაზე გასვლა; ეს არის მისთვის ჰემმარიტების კრიტერიუმი და არა ისტორიული სიზუსტე, რადგან მეტაფიზიკური ხედვების წყარო, ანუ

14 შდრ. იოანე ოქროპირის ჰომილია ლაზარეს ოთხდღიან სიკვდილზე (*In quadriduanum Lazarum*): „და შეხედე ამ პარადოქსს: კი არ თქვა „ლაზარე, გაცოცხლდი!“ არამედ რა? – „ლაზარე, გამოდი გარეთ“, რათა ესწავლებინა იქ დამსწრეთათვის, რომ თავადაც ის, ვინც „უწოდებს არმყოფს, როგორც მყოფს“ (რომ. 4:17), რათა ეჩვენებინა იქ დამსწრეთათვის, რომ თავადაც ცოცხლებისა და მკვდრების ღმერთი“ (Migne, *Patrologia Graeca* 59).

15 შდრ. I კორ. 1:28, სადაც „არმყოფი“ კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა, აღნიშნავდეს წარმართ ხალხს, რომელთაც „ხორციტ“ ანუ წარმომავლობით არაფერი აქვთ საამაუყო.

16 მაგალითად, ათანასე ალექსანდრიელი (*Epistulae quattuor ad Serapionem*, PG 26), იოანე ოქროპირი (*In Joannem*, PG 59) ა.შ. პავლეს ამ პასაჟის *ex nihilo*-ს თვალსაზრისით იოანე ოქროპირისეული განმარტების ასეთ თარგმანს გვთავაზობს, მაგალითად, ეფრემ მცირე: „რომელი იგი [ე.ი. ღმერთი] არაარსისგან დაჰბადებს არსთა და ცხოველ ჰყოფს მკუდართა“ [ეფრემ მცირე 44].

17 იგივე მკვლევარი შემდეგ დასძენს: „პეტრიწი თავისებურად ალეგორიულ-ონტოლოგიურად განმარტავს რომ. 4, 16-17, ისევე, როგორც ამას ორიგენე აკეთებს. მაგრამ არ ვარ დაწინაურებული, ესმოდა თუ არა პეტრიწს პავლეს ეპისტოლეს ეს სიტყვები ისევე, როგორც ორიგენეს, ანუ, გამოხატავდა თუ არა ეს სიტყვები პეტრიწის აზრით არარაოდან შექმნას, ისე როგორც ეს ორიგენეს ესმოდა. შეიძლება პეტრიწი ამ სიტყვებს უფრო ნეოპლატონურად უდგებოდა და მათში მატერიის ერთზე დამოკიდებულებას ხედავდა. ამას ის, პროკლესეულ დაწინაურებულს, თავის კომენტარში არაერთხელ მიუთითებდა“ [ალექსიძე 2008: 248]. ამ სტატიაში მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, ლელა ალექსიძის ზემოთდასმულ შეკითხვას ასეთი პასაჟი შეიძლება გაეცეს: პეტრიწი არ გულისხმობს აქ ორიგენეს მსგავსად „არაფრობისგან შექმნას“, არამედ მატერიის ერთზე დამოკიდებულებას, ან უფრო ზუსტად, მატერიის ერთისაგან გამომავლობას, რაც იამბლიქოს-პროკლესეული (პროკლემდე იამბლიქოსმა წამოაყენა მატერიის ერთისაგან წარმომავლობის დოქტრინა, შდრ. *De mysteriis*, 5. XXIII) – და არა პლოტინოსისეული – ნეოპლატონიზმისა და მისი ქრისტიანული გადამმუშავების, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრადიციიდან მომდინარეობს.

მაცხოვრებელი, პეტრიწისთვის თვით იესო ქრისტეა, ამდენად ბიბლიური პასაჟის ფილოსოფიურად განმარტება სრულიად დასაშვებია და უკეთესიცაა, ვიდრე სხვანაირად უფრო ადეკვატური — ანუ კონტექსტისა და ისტორიის გათვალისწინებით მიღებული — მაგრამ პროფანული განმარტება. თავისთავად, მსგავსი პოზიცია, ცხადია, სახიფათოდ შეიძლება მიეჩნია ეკლესიას, როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში, ვინაიდან პეტრიწი ასე აშკარად უერთებდა ბიბლიურ-რელიგიურ დისკურსს ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ დისკურსს და მთავარ ღირებულებას ხედავდა მეტაფიზიკურ თეორიებში, რომლებიც მისაწვდომი იყო როგორც პავლესთვის, ისე პლატონისა თუ პროკლესთვის. პეტრიწი არ აკონკრეტებს დევნის დეტალებს, მხოლოდ ზოგადად ამბობს, რომ იდევნებოდა თავისი აზრებისთვის ბერძნებისგანაც და ქართველებისგანაც. ადვილი მისახვედრია, რომ დევნის მთავარი მიზეზი ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის მისი ასეთი თამამი სითუზის მცდელობა იყო.

დაბოლოს, შეიძლება დავსძინოთ, რომ მატერიის სტატუსის საკითხი სცილდება სუფთად ფილოსოფიის საკითხს და შეეხება ზოგადად კულტურას, ხელოვნებას და სოციოპოლიტიკურ სფეროს. მაგალითად, თუ მივიღებთ პლოტინოსის თეორიას მატერიაზე, რომელიც, გარკვეული აზრით, ბოროტების მეტაფიზიკური საწყისია, მაშინ ნეგატიურ-უნდობლობითი დამოკიდებულება შეიძლება გავრცელდეს სახვით ხელოვნებაზეც, რომელიც ამ მატერიაზე ზემოქმედების შედეგად იქმნება. მსგავსადვე, პლოტინოსისეული მიდგომა, თუ თანმიმდევრულნი ვიქნებით, მიგვიყვანს სრულ აპათიამდე სოციოპოლიტიკურ სფეროში: რა სასიკეთო ცვლილებაზე ან პროგრესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ მატერიალურ სამყაროში ყველაფერი ფუნდამენტურად ბოროტებაზე დგას, რამდენადაც თავად მატერიაა ბოროტების წყარო, რომელშიც თვით ტრანსცენდენტური *ერთის* მოქმედება ვერ აღწევს? საპირისპიროდ, პროკლეს (ისევე, როგორც ფსევდო-დიონისეს და პეტრიწის) თეორია მატერიაზე იმედს უტოვებს ადამიანს, რომ შესაძლებელია ბოროტებასთან დაპირისპირება სოციოპოლიტიკურ დონეზეც, ანუ აზრი აქვს ბრძოლას უმჯობესი სოციოპოლიტიკური სტრუქტურებისთვის, რადგან ბოროტების წყარო არის არა მატერია, არამედ ჩვენი, ადამიანების არასწორი, გადახვეული („პარიპოსტატური“) დამოკიდებულება სამყაროსთან და ერთმანეთთან. პეტრიწისთვის სწორი ტელეოლოგიური დამოკიდებულების აღდგენა ფილოსოფიით, გონებრივ ტკივილებში ახალი ხედვების დაბადებით არის შესაძლებელი. საკითხი, თუ რამდენად იმოქმედა გელათელი ფილოსოფოსის ამგვარმა დამოკიდებულებამ მის თანამედროვე და შემდგომ სოციოპოლიტიკურ რეალობაზე საქართველოში, ცალკე კვლევას იმსახურებს.

დამოწმებანი

წყაროები

ათანასე ალექსანდრიელი: *Epistulae quattor ad Serapionem.*

ეფრემ მცირე: „სამოციქულოს განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან“, II, გამომც. ექვთიმე კოჭლამაზიშვილი, თბ., 2006, გვ. 44.

იამბლიქოსი: *De mysteriis.*

იოანე ოქროპირი: *In quatridianum Lazarum. In Joannem.*

იოანე პეტრიწი: განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისთჳს. შრომები ტომი II. რედ. შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი, 1937.

იოანე სქითოპოლელი: „Selected Translation of John of Scythopolis Scholia“, in: Paul Rorem and John C. Lamoreaux. *John of Scythopolis and the Dianysian Corpus. Annotating the Areopagite.* Oxford University Press, 1998.

პლატონი: *Timaeus. Symposium.*

პლოტინოსი: *Enneades.*

პროკლე: *Elementatio Theologica; De Malorum Substistentia.*

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი: *De divinis nominibus*

ლიტერატურა

ალექსიძე 2008: ალექსიძე, ლელა. იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008.

ლოიდი 1987: Lloyd A. C. „Parhypostasis in Proclus“, in: *Proclus et son Influence. Actes du Colloque de Neuchatel [juin 1985]*, ed. par G. Boss et G. Seel, avec une introduction de F. Brunner. Zurich: Grand Midi, 1987, გვ. 145-157.

ო'მეარა 1998: O'Meara, Dominic. „Evil in Plotinus (Enn. I, 8)“, in: *The Structure of Being and the Search for the Good: Essays on Ancient and Early Medieval Platonism.* Variorum Collected Studies Series, Ashgate Publishing Ltd, 1998.

სტილი 1998: Steel, Carlos. *Proclus on the Existence of Evil. Proceedings of the Boston Area Colloquium in Ancient Philosophy. Vol. XIV, 1998, Brill: Leiden, გვ. 96-97.*

Neoplatonic Interpretation of Paul's Passage in Ioane Petritsi: Theory on Matter

Levan Gigineishvili

This article considers interrelationship between Neoplatonic philosophy/metaphysics and Christian religion in thought of 13th century Georgian philosopher Ioane Petritsi, on an example of his interpretation of one passage from St. Paul's Epistle to Romans (Rom. 4. 17). This passage was only tangentially tackled in previous studies. The significance of this paper is to identify the nature of Petritsi's attempt to harmonize the two – Biblical and philosophical – traditions. Particularly, how does Petritsi treat the Biblical text, which has origin quite different from that of philosophical texts; does he have two different discourses and tries to find meeting points between them, or does he have only one, metaphysical discourse and interprets the Biblical texts from the metaphysical standpoint. This question is of interest, because Petritsi's philosophical or theological stance still represents a point of discord between scholars: for some he is a patently Orthodox thinker who uses philosophy only for explication of Christian truth, for others he may seem to be a philosopher who uses the Biblical texts only as homage to the official Church tradition without sincerely believing in direct relation between the ideas of the Bible and those of the Platonists. The article is to shed light on exactly those questions.

For this purpose I chose one passage from Petritsi's commentaries on Proclus where he interprets the abovementioned Pauline text. My idea was to view Petritsi's interpretation from the point of view of both Neoplatonic metaphysics and the Church fathers and identify which of them he adheres to. Petritsi posits this passage in the context of philosophy of Proclus and offers its metaphysical interpretation. In the mentioned passage, Paul speaks about "non-being" or "non-existent" ("even God, who giveth life to the dead, and calleth the things that are not, as though they were" – *American Standard Version*), whereas Petritsi terminologically and semantically identifies Paul's „non-being" with Plotinus' „non-being" (τὸ μὴ ὄν), which in the latter's thought signifies matter. However, in the theory on matter Petritsi does not follow Plotinus, who viewed matter as the final reach and total extinguishing of the One's emanation, and therefore as "evil", but Proclus, in whose vision matter proceeds directly from the transcendent One.

The problem of matter is connected with the problem of evil, because there was a schism in Neoplatonic philosophy as to whether matter is a source of evil. Plotinus' answer on this question was positive, whereas Proclus' (and also of his Christian

'student' Pseudo-Dionysius the Areopagite and generally of Orthodox Christian theology) negative. As expected, Petritsi follows line of Proclus, and thus his theory is in accord with Proclus, for whom the source of evil is "stepping away from one's proper status" ("parypostasis" - παραπτώσις).

Besides the Neoplatonists, the article adduces patristic interpretations of the discussed Pauline passage; none of the interpretations found by the author coincides with that of Petritsi, however, Petritsi's source can be Pseudo-Dionysius the Areopagite, whose ideas also are based on Proclus.

The result of the article is that Petritsi believes in truth of both – Proclian metaphysics and the Bible; however, since he is more a philosopher in love with metaphysical theories, it is only natural that he prefers to 'extract' only a metaphysical meaning from a Biblical text, rather than consider its actual, historical context and other, non-metaphysical significances. Petritsi's position paves way to a tradition of rationalism, similar to that process in Europe, that has ended with the Renaissance movement.

In the end of the article briefly are expressed general views about 1) Petritsi's, for his time, revolutionary approach to the philosophical and Biblical traditions, which obviously was a reason for him being persecuted; 2) cultural and social-political implications that can follow from different metaphysical ideas on matter.